ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 331
25/02/2020

331-02-4-202002251431

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა“ და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის N24-25 განკარგულებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის, დანართის (N1) შესაბამისად.

2. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

3. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადების განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

.